



**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 7 23 0001730475



18/12/2023

**ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი
სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის მე-3 პუნქტის, 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:


1. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელს (ს/კ:404924310) მიენიჭოს მიენიჭოს ავტორიზაცია (სასწავლო უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს - 150 - ით. გაცემული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების მიზნით, დაწესებულებამ 1 წლის თავზე ცენტრში წარმოადგინოს ანგარიში და ორი წლის ვადაში დაწესებულებაში განხორციელდეს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი.
2. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელს მიენიჭოს უფლებამოსილება, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 4 დეკემბერს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის №1730220 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის შესახებ ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა



დანართი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით

#	პროგრამის დასახელება	საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია დეტალური სფერო	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი ¹	პროგრამის განხორციელების ადგილი
ფაკულტეტის დასახელება: საეკლესიო მუსიკა								
1	საეკლესიო მუსიკა	ბაკალავრიატი	ქართული	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრიატი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი / რეგენტი) 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	241	ავტორიზებული	2021 წლის 12 ივლისის N701862	ს. ეულის N3, ქ. თბილისი, 0179, საქართველო
2	საეკლესიო მუსიკათმცოდნეობა	მაგისტრატურა	ქართული	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	125	ავტორიზებული	2021 წლის 12 ივლისის N701862	ს. ეულის N3, ქ. თბილისი, 0179, საქართველო
3	-	-	-	-	-	-	-	-
ფაკულტეტის დასახელება: ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი								

¹ იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაცია მიანიჭებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა სხვა აკრედიტაციის მიმნიჭებელი ორგანიზაციის მიერ, მიუთითეთ მისი დასახელება

*შენიშვნა: უსდ-ს შეუძლია დასაქმების მაჩვენებლები პროგრამების ნაცვლად წარმოადგინოს მიმართულებების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, სქოლიოში უნდა გაკეთდეს შესაბამისი მითითება

**შენიშვნა: მონაცემების ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების ჭრილში წარმოსადგენად საჭიროებისამებრ გააკეთეთ ცხრილების კოპირება

1	ქართული ტრადიციული მუსიკა	ბაკალავრიატი	ქართული	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი / რეგენტი) 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	240	დამტკიცებულია პროექტის სახით, ამოქმედდება პროგრამული აკრედიტაციის გავლის შემდეგ	-	ს. ეულის N3, ქ. თბილისი, 0179, საქართველო; თამარაშვილის ქუჩა N-6, თბილისი 0162, საქართველო
2	მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)	მაგისტრატურა	ქართული	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი მუსიკოლოგიაში 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	120	დამტკიცებულია პროექტის სახით, ამოქმედდება პროგრამული აკრედიტაციის გავლის შემდეგ	-	ს. ეულის N3, ქ. თბილისი, 0179, საქართველო; თამარაშვილის ქუჩა N-6, თბილისი 0162, საქართველო
3	ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი	მაგისტრატურა	ქართული	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი / რეგენტი) 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	120	დამტკიცებულია პროექტის სახით, ამოქმედდება პროგრამული აკრედიტაციის გავლის შემდეგ	-	ს. ეულის N3, ქ. თბილისი, 0179, საქართველო; თამარაშვილის ქუჩა N-6, თბილისი 0162, საქართველო
4	ქრისტიანობის ისტორია	მაგისტრატურა	ქართული	ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრი 0222 ისტორია და არქეოლოგია	120	დამტკიცებულია პროექტის სახით, ამოქმედდება პროგრამული აკრედიტაციის გავლის შემდეგ	-	ს. ეულის N3, ქ. თბილისი, 0179, საქართველო; თამარაშვილის ქუჩა N-6, თბილისი 0162, საქართველო